დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და უარღვევი ერთიანობა — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარი!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამაღლებულ-ზეიმობისათვის)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 257 (13949) | ოთხშაბათი, 1 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

„კომუნისტის“ მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო! კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენი დიადი სამშობლო მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის 50 წლის იუბილეს.

გაზეთ „კომუნისტის“ იმ ნომრების შემდეგ, რომლებიც მიეძღვნა ლენინგრადსა და მოსკოვს, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას, დღეს მკითხველებს ვთავაზობთ მთელ რიგ მასალებსა და ფოტოსურათებს, რომლებიც მოგვითხრობენ უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრების შესახებ.

მასალები მოამზადეს გაზეთ „კომუნისტისა“ და ახალი ამბების სააგენტოს თანამშრომლებმა.

ოქტომბრის მონაპოვარი

ოდესღაც, გონების თვალით რომ გავუყურებთ და ვიფასებთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძრძოლითა და გმირობით აღბეჭდილ სახეგარსაუკუნოვან გზას, საუკეთესოდ მოჩანს ის დიდი გარდაქმნები და გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღორძინება-შენებლობაში.

შრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ამ გამარჯვებათა უპირველესი საფუძველი იყო და არის სოციალისტური შენებლობის პროცესში განხორციელებული ლენინური პროგრამა ეროვნულ საკითხში, ჩვენი სამშობლოს უველა ხალხის სოციალისტური ძმობა-მეგობრობა და უანგარო ურთიერთანამშრომლობა.

სიკეთისა და თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების მოსურნე უბრალო ადამიანი, ცხოვრების დოვლათის შემქმნელი შრომელი ხალხი ყოველთვის ესწრაფოდა ეროვნულ ძმობას. ამ ნაციონალურ ერთიანობის კეთილშობილებას უმღერდენ და ეტრფოდნენ წარსულ საუკუნეებში კაცურკაცობით მაღლმოსილი მამულიშვილები — პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მაგრამ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე აგებული საზოგადოებრივი ფორმაციების დროს ფეხქვეშ ითელებოდა სიკეთისათვის მებრძოლთა გრძნობები, ღვივდებოდა ეროვნული შულლი და კარჩაკეტილობა,

მაგრამ დიადმა ოქტომბერმა საუკუნოანი ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ხალხები და განვითარების ახალი, მანამდე არნახული გზა გაუხსნა მათ.

საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრდა ერთა და ხალხთა თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, შეიქმნა მათი შემდგომი აყვავებისა და დაახლოების მტკიცე საფუძვლები.

ოქტომბერი საფუძველშივე იყო ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ნამდვილი სიმბოლო. ზამთრის სახახლეზე იერიში მიჰქონდა მრავალეროვნულ არმიას, რომელსაც გამარჯვებისათვის შთაგონებდა დიდი რუსი ხალხის წინამძღოლობა, ოქტომბრის ბელადის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტთა პარტიის მეთაურობა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის რუსი ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ უკრაინელი და ბელორუსი, ქართველი და უზბეკი, სომეხი და აზერბაიჯანელი რევოლუციონერები...

საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ლენინური მეგობრობა უფრო გამტკიცდა და განვითარდა სოციალისტური გარდაქმნების, — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პირველ წლებში. ეს იყო ახალი საზოგადოების შენებლობის მძიმე, ოფლისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების, მაგრამ გამარჯვებით დამგვირგვინებული წლები. ჩვენი სამშობლოს უველა ხალხს ღრმად სწამდა, რომ თუ ძლიერი იქნებოდა უოველი მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკა, ურღვევი იქნებოდა მათი მეგობრული კავშირი, მაშინ უძლეველი იქნებოდა ჩვენი მრავალეროვნული სახელმწიფო — ოქტომბრის მიერ ფრთაასხმული ნაბეჯვრა ოცნება ხალხისა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიდიადე, საბჭოთა ხალხის მორალური ერთიანობის სიმტკიცე მთელი სისრულით დადასტურდა მძიმე განსაცდელის ჟამს — საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. საბჭოთა ქვეყნის დასაცავად აღდგა მთელი ჩვენი ხალხი, მის აწამოსა და მომავალს იცავდა ჭეშმარიტად მრავალეროვნული სახალხო არმია. ამ მრისხანე წლებში ნათელი გახდა, რომ უძლეველია საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთობა.

ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადაში აღდგენა, ჩვენი ხალხის ახალი დიდი მიღწევები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საბჭოთა მეცნიერების გამარჯვებანი კოსმოსური კვლევის დარგში ერთხელ კიდევ თვალნათლივ ადასტურებენ, თუ რის მიღწევა შეუძლიათ ხალხებს, რომელთა მტკიცე მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველია ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

„დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და უარღვევი ერთიანობა — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარი!“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის. ამ სიტყვებში გამოხატულია უველა საბჭოთა ხალხის ერთიანი მიზანი — იცხოვრონ, იბრძოლონ და იშრომონ მარად ერთად, ერთ ძმურ ოჯახში.

„მიფრინავს კოსმოსი-189“

1967 წლის 30 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-189“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაუვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრები განაგარიშებულს უახლოვდება: მიმოქცევის საწყისი პერიოდია 95,7 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 600 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 535 კილომეტრი. (საკდესი).

„კოსმოს-186“-მა წარმატებით დაამთავრა ფრენა

დღეს, 1967 წლის 31 ოქტომბერს, თანამგზავრმა „კოსმოს-186“-მა დედამიწიდან მიღებული კომანდით 65-ე გარშემოვლის დროს დაამთავრა კოსმოსური ფრენა და 11 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით რბილად დაჯდა დასახულ რაიონში. მთლიანად დამთავრდა ორი თანამგზავრის ავტომატური შეპირაპირება და სხვა მეცნიერული ამოცანების შესრულება, რომლებიც თანამგზავრ „კოსმოს-186“ ფრენის პროგრამაში იყო გათვალისწინებული.

თანამგზავრ „კოსმოს-186“-ზე დადგმულმა უველა სისტემამ ძიების, დაახლოების, მიდგომის და შეპირაპირების ეტაპებზე, აგრეთვე განშორების, შემდგომი ფრენისა და დედამიწაზე დაჯდომის დროს ცხადად ფუნქციონირების მაღალი საიმედოობა.

მეორე თანამგზავრი „კოსმოსი-188“ განშორების შემდეგ განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბრძანებულება

ოქტომბრის რევოლუციის ორდენის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.
2. დამტკიცდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენის სტატუტი.
3. დამტკიცდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1967 წლის 31 ოქტომბერი.

სტატუტი

ოქტომბრის რევოლუციის ორდენისა

1. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

2. ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ჯილდოვდებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, სუფრმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები და მშრომელთა სხვა კოლექტივები, ჯარის ნაწილები და შენაერთები, აგრეთვე რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ქალაქები.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით შეიძლება დაჯილდოვდნენ უცხოელი მოქალაქენიც.

3. ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ჯილდოვდებიან:

აქტიური რევოლუციური საქმიანობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების ქმნადობასა და განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის;

სოციალიზმის აშენებასა და კომუნიზმის შენებლობაში. თვალსაჩინო დამსახურებისათვის;

სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის;

საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის;

საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის;

განსაკუთრებით ნაყოფიერი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის;

საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა შორის ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებაში, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში აქტიური საქმიანობისათვის.

4. ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მაგრდება მკერდის მარცხენა მხარეზე ლენინის ორდენის შემდეგ.

5. დაჯილდოებულის გარდაცვალების შემდეგ ოქტომბრის რევოლუციის ორდენი რჩება მის ოჯახს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

ოქტომბრის რევოლუციის ორდენის აღწერილობა

ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მზადდება ვერცხლისაგან და წარმოადგენს მოოქროვილ, წითელი მინანქრით დაფარულ ხუთქიმიან ვარსკვლავს ვერცხლის სხივიანი ხუთკუთხედის ფონზე.

ხუთქიმიანი მომინანქრებული ვარსკვლავის ზედა ნაწილში გამოსახულია წითელი მინანქრით დაფარული დროშა, რომელზეც წარწერილია ორ სტრიქონად: „ოქტომბრის რევოლუცია“.

ვარსკვლავის ცენტრში მდებარეობს ვერცხლის ხუთკუთხედი კრეისერ „ავრორას“ გამოსახულებით. ხუთკუთხედი ოქსიდირებულია სხვადასხვა ტონით.

ორდენის ქვედა ნაწილში არის ოქროს ფრო და ნამგალი.

ორდენის ზომა მინანქრის ვარსკვლავის მოპირდაპირე წვეროებს შორის 43 მილიმეტრია.

ორდენი ყუნწისა და რგოლის საშუალებით უერთდება ხუთკუთხა მორაკს, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მილიმეტრი სიგანის წითელი ფერის ჰბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტის შუაში ხუთი გრძივი ცისფერი ზოლია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბრძანებულება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შესაძლოდ მიაჩნია გამოიყენოს ამნისტია იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, და სამაგალითო საქციელით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავიანთი მისწრაფება გამოისყიდონ დანაშაული საზოგადოების წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აწესებს:

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდადებულნი ორ წლამდე ვადის ჩათვლით ან ის პირნი, რომლებსაც მიესაჯათ სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

2. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდადებულნი ხუთ წლამდე ვადის ჩათვლით:

ა) პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით საბჭოთა სამშობლოს დასაცავად საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე ომის ინვალიდები;

ბ) ქალები, რომლებსაც ჰყავთ 17 წლამდე ასაკის შვილები, და ორსული ქალები:

გ) 60 წელზე უხნესი კაცები და 55 წელზე უხნესი ქალები:

დ) პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 16 წლამდე ასაკში;

ე) პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს გაუფრთხილებლობის გამო;

3. სანახევროდ შეუფცირდეთ სასჯელის ის ნაწილი, რომელიც არ მოუხდიათ ამ კანონის ძალაში შესვლის დღემდე, პირებს, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან ორ წელზე მეტი ხნის ვადით.

4. წარმოებით შეწყდეს ყველა საგამძიებო საქმე და სასამართლოების მიერ განუხილველი საქმეები ამ ბრძანებულების გამოცემამდე ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ორი წლის ვადამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე საქმეები დანაშაულობათა შესახებ, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ხუთი წლის ვადამდე ჩათვლით, რაც ჩაიდინეს ამ ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა.

იმ საქმეების გამო დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც ჩადენილია ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ხნით, აგრეთვე დანაშაულობათა შესახებ, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ხნის ვადით, რომლებიც ჩაიდინეს ამ ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა, საკითხს ამნისტიის გამოყენების შესახებ წყვეტს სასამართლო ამ ბრძანებულების 1, 2 და 3 მუხლების შესაბამისად.

5. სასჯელის დამატებითი ზომებისაგან გადასახლებისა და გასახლების სახით განთავისუფლდნენ პირები, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ ბრძანებულების 1, 2 და 3 მუხლებში.

6. ამნისტია გამოყენებულ არ იქნეს იმ პირთა მიმართ:

ა) რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულთათვის, რომლებიც გათვალისწინებულია „სახელმწიფო დანაშაულისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-14, მე-14₁, მე-15, მე-16, მე-17, 23-ე, 24-ე და 25-მუხლებში, „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-2 მუხლისა „ა“ და „ბ“ პუნქტებით, მე-4 მუხლით, მე-6 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-11 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, მე-13 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-19 მუხლის „ე“ პუნქტით, 21-ე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით;

ბ) რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან ისეთი დანაშაულისათვის, როგორიცაა განზრახი მკვლელობა, საბრძო დაცვის ფარგლების გადამეტებისა თუ ძლიერი სულიერი მღელვარების დროს მკვლელობის ჩადენა; განზრახი მძიმე სხეულის დაზიანება, საბრძო თავდაცვის ფარგლების გადამეტების ან ძლიერი სულიერი მღელვარების დროს მიყენებული დაზიანების გარდა, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა; გაუპატიურება; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, რაც ჩადენილია განშორებით ან დიდი თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა მტაცებლობა; ყაჩაღობა; ძარცვა; მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა განშორებით ჩადენილი; ქრთამის მიღება, ქრთამის მიცემა, ან შუამავლობა მექრთამეობაში; ბორტი ხულიგნობა; ისეთი ჯგუფური მოქმედების ორგანიზაცია ან აქტიური მონაწილეობა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, გასაღება ან გასაღების მიზნით შეძენა; არასრულწლოვანთა ჩათრგუა დანაშაულებრივ საქმიანობაში;

გ) რომლებიც აღიარებული არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, აგრეთვე წინათ მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით;

დ) რომლებიც წინათ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის სრულ მოხდამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაათავისუფლეს ამნისტიით, შეწყალების წესით, პირობით-ვადამდე ან სხვა საფუძველზე და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;

ე) რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმს სასჯელის მოხდის დროს.

7. განთავისუფლდნენ სახდელის ზომებისაგან პირნი, რომლებმაც ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ეს ბრალდებულებანი ადმინისტრაციული წესით ისჯნენ, იმ პირობით, თუ ისინი სამაგალითოდ იქცევიან და პატიოსნად ეკიდებიან შრომას.

8. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1967 წლის 31 ოქტომბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების, საკანონმდებლო განზრახულებათა და სახალხო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიების სხდომები.

ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ განიხილა ნაკრძალების მოვლა-დაცვის მდგომარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ნონეშვილმა. საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა — დეპუტატებმა: ვ. უნგიაძემ, კ. ჯამრულიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჩოდრიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული წაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის სამართველოს უფროსის მოადგილემ კ. მამისაშვილმა, საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ ს. როსტაშვილმა, საქართველოს სსრ „ბუნების მეგობრის“ ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ თ. ნატროშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ცქიტიშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

სახალხო განათლების და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომაზე მოისმინეს მისი თავმჯდომარის დეპუტატ ე. ბუჩიაძის მოხსენება სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობის შესახებ ბოგდანოვკის, წალენჯიხის, წალკის, ორჯონიკიძის, ხაშურის და ლანჩხუთის რაიონებში.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა დ. ლაშქარაძემ, ი. ხოფერიამ, ა. ბერიაშვილმა და სხვებმა.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ მოისმინა მისი წევრის დეპუტატ პ. ბერძენიშვილის მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონში ინერადიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ზ. რატიანმა, ა. ჩიქოვანმა, ა. კარანაძემ და სხვებმა.

საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიაზე განიხილეს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ თ. მოსაშვილის მოხსენება ქ. ცხინვალის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ვ. გოცირიძემ, ა. აკოფოვამ, გ. ნადაშვილმა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გ. ბერიძემ, ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ზადიშვილმა და სხვებმა.

კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებანი. (საქდესი).

მოსკოვში, ზეიმზე

31 ოქტომბერს მოსკოვში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულობაზე გაფრინდა საქართველოს დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით. რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ზეიმში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის მინისტრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, კომუნისტური პარტიის აქტივისტები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მომავალ საზეიმო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გუშინ მოსკოვში გაფრინდა ჩვენი რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა, ძველ ბოლშევიკთა, რევოლუციის ვეტერანთა ჯგუფი. **სურათზე:** მომავალი საზეიმო სხდომის მონაწილეთა ჯგუფი გაფრენის წინ თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ოქტომბრის მზის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკრაინის სსრ დღეს. კიევი. კრეშჩატიკი. ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბევრი რამ გვაქვს საამაყო

3. შჩერბიცკი,

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები სოციალისტურ ქვეყნებში და მთელ მსოფლიოში ეშზადებიან ზეიმით აღნიშნონ ეპოქალური თარიღი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. მთელი პროგრესული კაცობრიობის თვალი მიპყრობილია გამარჯვებული სოციალიზმის ჩვენი დიდი ქვეყნისაკენ, რომლის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია მკაფიოდ მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნიზმის უტყვნობი იდეების დიად ცხოველმყოფელ ძალას.

საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებსაც მათი მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულ იუბილეს ხვდებიან ახალი დიდი წარმატებებით ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებაში, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომ ზრდაში.

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმების და სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ასახავენ პარტიის გენერალურ ხაზს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და უზრუნველყოფენ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესრულებას. ამ გეგმებში მკაფიოდ ასახავა პოეა პროგრესის გზაზე მიმავალი ჩვენი სახელმწიფოს მძლავრმა სვლამ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სულ უფრო მზარდმა ზრუნვამ ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

სოციალისტური ერების ძმურ თანამეგობრობაში წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება საბჭოთა უკრაინის ეკონომიკა, ვითარდება კულტურა, უმჯობესდება 46-მილიონიანი უკრაინელი ხალხის კეთილდღეობა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ურღვევი ერთიანობის მეოხებით უკრაინელმა ხალხმა 33ოვა თავისი ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შექმნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მძლავრი ინდუსტრიის, მსხვილი სოფლის მეურნეობისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

კარგი აღმავლობა ჰქონდა რესპუბლიკამ ომისწინანდელ ხუთწლედშიც. ფართოდ გაჩაღდა რა საყოველთაოსახალხო სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავის აღსანიშნავად, მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს გასული წლის და მიმდინარე წლის სტრ თვის პროგრამა და ვეგმის გადამეტებით უკვე აწარმოეს დიდძალი სამრეწველო პროდუქცია. წლის გადაჭარბებით სრულდება ლენინური შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, დაგროვებისა და ფულის დარგში.

მრეწველობის წარმატებით განვითარებას ხელს უწყობს ეკონომიური რეფორმა. წლის ბოლომდე ჩვენში მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში იმუშავებს ათასზე მეტი საწარმო, რომლებიც რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის დაახლოებით 40 პროცენტს უშვებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად წლითიწლობით სულ უფრო მტკიცედ დგება ფეხზე სოფლის მეურნეობაც.

უკვე შარშან მარცვლის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1964 წელთან შედარებით ესე იგი ორ წელიწადში, 12 პროცენტით გადიდდა; ხორცის წარმოება გაიზარდა ერთნახევარჯერ და მეტად, რძისა — ერთი მესამედით, კვერცხისა — 1,8-ჯერ. კოლმეურნეობების რენტაბელობა ამაღლდა 42 პროცენტამდე. ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გადიდდა 24 პროცენტით. მიმდინარე წელს, მიუხედავად სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეულის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, წიწიბურას, ბრინჯის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სხვა კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 740 მილიონი ფუთი მარცვალი. ეს 124 მილიონი ფუთით მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. სულ წელს სახელმწიფოს მიეყიდება 750 მილიონი ფუთი მარცვალი, მათ შორის 534 მილიონი ფუთი ხორბალი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე ერთნახევარჯერ მეტია.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში შესყიდულია 2 მილიონ ტონაზე მეტი პირუტყვი, ანუ წლიური გეგმის 108 პროცენტი, 7.640 ათასი ტონა რძე, ანუ წლიური გეგმის 98 პროცენტი, 2.700 მილიონი ცალი კვერცხი, ანუ წლიური გეგმის 113 პროცენტი. წლის ბოლომდე რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გეგმის ზევით კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მიჰყიდიან სახელმწიფოს მეცხოველეობის პროდუქტებს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას ყოველწლიურად ხმარდება დაფინანსების უყველა წყაროდან დაახლოებით 9 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდებანი, რომელთა ხარჯზეც მწყობრში დგება 500-600 მსხვილი სამრეწველო ობიექტი, ფართოდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური ბაზა, შენდება 400 ათასზე მეტი ბინა, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ათასობით ობიექტი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში.

სისტემატურად იზრდება საქონელბრუნვა და უმჯობესდება მისი სტრუქტურა. მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოსახლეობას მიეყიდა 1.300 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

წარმატებით სრულდება რესპუბლიკის ბიუჯეტიც. მიმდინარე ხაიუბილეო წელი საბჭოთა უკრაინისათვის, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოსათვის, იქნება ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების წელი, ჩვენი ხალხის ეკონომიკის, კულტურისა და კეთილდღეობის შემდგომი აყვავების წელი.

შეფასებას ვაძლევთ რა ორი წლის მუშაობის მოსალოდნელ შედეგებს და ხუთწლედის დარჩენილი წლების გეგმას, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებით დასახული დავალებანი სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის გადიდებისა მთლიანად უკრაინის სს რესპუბლიკაში შესრულებულ იქნება. სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 52 პროცენტით გადიდდება.

მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ტემპებიც შეესაბამება ყრილობის დირექტივებს და, თუ გავითვალისწინებთ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა, იგი 1.3-ჯერ და მეტად გაიზრდება.

სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს წარმოების იმ დარგების უპირატეს განვითარებას, რომლებზეც დამოკიდებულია ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად ხუთწლედის დარჩენილ სამ წელიწადში თუჯის წარმოება რესპუბლიკაში თითქმის 9 მილიონი ტონით გადიდდება და 45,6 მილიონ ტონას მიაღწევს. თითქმის 7 მილიონი ტონით გაიზრდება ფოლადის წარმოება და მიაღწევს 50 მილიონ ტონას, ხოლო ნაგლინისა და ფოლადის მილების წარმოება — 43,6 მილიონ ტონას. ლითონის წარმოების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად განხორციელდება ღონისძიებანი მისი სორტამენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა უკრაინის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხი, დიდი სიხარულითა და გულწრფელი მადლობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ შემუშავებულ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ერთხმულოვნად მოწონებულ ღონისძიებებს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მშრომელთა რეალური შემოსავალი გადიდდება წელიწადში 1.120 მილიონი მანეთით. ასეთი უდიდესი სახსრები ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენს სახელმწიფოს ჯერ კიდევ არასოდეს არ გამოუყვია ერთი გადაწყვეტილებით, და ღონისძიებანი, რომლებიც წინათ ხორციელდებოდა, ჯერ კიდევ არასოდეს არ შეხებია მშრომელთა ასეთ დიდ რაოდენობას. უეჭველია, ეს ჩვენი სოციალისტური წყობილების დიდი გამარჯვებაა, ჩვენი ხალხისადმი შესანიშნავი საჩუქარია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლის იუბილესათვის.

გეგმით გათვალისწინებულია სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებიც საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სწრაფი ტემპით გადიდდება საკონსერვბრუნვა, რომელიც მომავალ წელს ჩვენს რესპუბლიკაში მიაღწევს დაახლოებით 23 მილიარდ მანეთს, ხოლო 1970 წელს — 25 მილიარდ მანეთზე მეტს. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა ამ წლების მანძილზე კიდევ ერთიორად გაფართოვდება. სამ წელიწადში უკრაინის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდება საცხოვრებელი ბინები 42,7 მილიონი კვ. მეტრი საერთო ფართობით, აქედან მომავალ წელს — 14 მილიონი კვ. მეტრი. გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ასიგნობანი ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

სპეციალისტთა რიცხვი ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიაღწევს 4 მილიონ კაცს, ხოლო ყოველი 100 მომუშავიდან 70-ს უმაღლესი და საშუალო განათლება ექნება.

ამ წლებში დამთავრდება მიდროელექტროსადგურთა კასკადის მშენებლობა დნეპრზე, განხორციელდება სამელიორაციო სამუშაოთა დიდი პროგრამა, დაიწყება კახოკის უდიდესი სარწყავი სისტემის, დნეპრ-დონბასის არხის, ხარკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა, განხორციელდება მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, რომელიც უმაღლესმა საბჭომ მიიღო, სახავს ახალ შესანიშნავ პერსპექტივებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის. ამაში ჩვენ ვხედავთ სოციალისტური ყოფიერების ძალისა და ძლიერების, პარტიის ლენინური კურსის, სკკპ XXIII ყრილობის მიერ შემუშავებული მისი გენერალური ხაზის გამარჯვების კიდევ ერთ დადასტურებას.

ხუთწლედის უდიდესი ამოცანები ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ჩვენგან მოითხოვს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მუშაობა სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ასამაღლებლად. ეს ამოცანები წარმატებით რომ გადავწყვიტოთ, ჩვენ პირველ რიგში დროულად უნდა ვასრულებდეთ კაპიტალური მშენებლობის გეგმებს, ავამაღლოთ კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობა.

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის სწრაფად მზარდი მოცულობანი მოითხოვენ ყველა სახეობის ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტის შესაბამის განვითარებას და მუშაობის გაუმჯობესებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ვაგონებისა და ცისტერნების გამოშვების გათვალისწინებულ გადიდებასთან, სამრეწველო საწარმოების სატრანსპორტო მეურნეობათა შემდგომ განვითარებასთან ერთად ჩვენ აუცილებლად მნიშვნელოვნად უკეთ უნდა გამოვიყენოთ რკინიგზის ტრანსპორტის რეზერვები.

ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადასაწყვეტად — სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასადიდებლად — დიდი რეზერვები მოეპოვება ადგილობრივ მრეწველობას. ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 500-ზე მეტი საწარმო და კვების 600-ზე მეტი ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმო, რომლებიც საწარმოებენ 1.700 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას.

მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის, საშენი მასალების წარმოების, სათბობის დამზადების უზრუნველსაყოფად უკრაინაში მუშაობს სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და საბჭოთა მეურნეობების 54 ათასი დამხმარე საწარმო. ტორფის მოპოვებაში საფეხვა და ბურღულის მრეწველობაში მთელი ამ საწარმოებისა და სარეწების ხელმძღვანელობა ერთ-ერთ ადგილობრივ მრეწველობაში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები ეწევიან დიდ მუშაობას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ არა მარტო განმტკიცონ, არამედ კიდევ უფრო გააძლიერონ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც გამოწვეულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის ნაზადებით.

ბოლოდროინდელი ამბავი

ბოლოდროინდელი ამბავი

ბოლოდროინდელი ამბავი

##

ხალხთა ერთიან, ძმურ ოჯახში!

50 ... ბელორუსი

განვაგრძოთ ოქტომბრის ესტაფეტა

ტ. კისელიოვი,

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

წარმატებით იღებენ უზბეკეთის მეურნეობები ბამბის მოსავალს. მიმღებ პუნქტებს უკვე ჩაბარდა მილიონ ორას ათასზე მეტი ტონა „თეთრი ოქრო". სურათზე: ტაშკენტის ოლქის აკურგანის რაიონის დამამზადებელი პუნქტი „ოქტომბერი".

ფოტო კ. რაზიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიდებულია „ავრორას" ზალიდან კოსმოსური ერამდე განვლილი გზა. და მის სიდიადეს დროის ხანგრძლივობა როდი წარმოადგენს. ოსტორეის მასშტაბით ნახევარი საუკუნე დიდი ვადა როდია. მაგრამ 50 წლის გზა, რომელიც საბჭოთა ხალხმა განვლო, თავისი მნიშვნელობით, შესრულებულ გარდაქმნათა გრანდიოზულობით საუკუნეებს უდრის.

თვითეული ეპოქა თავის შემდეგ ძეგლებს ტოვებდა პლანეტის სხვადასხვა კუთხეებში. ძველი ეგვიპტის უზარმაზარი პირამიდები... წარმტაცი გურ-ემირი... მოსკოვის ჭაღარა კრემლი... ცად აზიდული აეფურული ეიფელის კოშკი... რამდენი სილამაზე და ჰარმონია ადამიანის ხელითა და გონებით შექმნილ ამ ნაწარმოებებში! ფორმების რა სრულყოფაა! ისინი გვაოცებენ თავიანთი მონუმენტურობითა და სიდიადით. მაგრამ თვითეული მათგანის აგებას ათობით წლები და საუკუნეები დასჭირდა.

50 წლის სიმაღლიდან შორეულ ჰორიზონტებს ვხედავთ. გადავავლოთ გონების თვალი უზბეკეთის ძველ მიწას. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეებში მას ცოტა როდი აღუზრდია ნათელი გონებისა და დიდი ნიჭის ადამიანები. ბირუნის, ავიცენას, ნავოის, ულუგბეკის, ხორეზმის სახელები სამუდამოდ შევიდა მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში. სამარყანდის, ბუხარის, ხივისა და სხვა ქალაქების არქიტექტურული ანსამბლები დღემდე ინახავენ გამოჩენილი უზბეკი ხუროთმოძღვრებისა და მშენებლების ხსოვნას, რომელთა ოსტატობა აოცებს ადამიანებს. ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ ძველ დროში ქმნიდა ურთულეს საირიგაციო ნაგებობებს.

თითქმის მთლიანი უწიგნურობისა და რელიგიური ცრურწმენების მხარე, ფეოდალური წყობილების მხარე, სადაც გაბატონებული იყო წარმოების პატრიარქალური წესი, სადაც სჭარბობდა წვრილი, გაღატაკებული დეხკანური მეურნეობები, სადაც შრომის ძირითადი იარაღები იყო ომაჩი (ხის კავი), მალა (მინდვრების საფარცხავი ძელი), ურაკი (ნამგალი) და თოხი, მშრომელი ხალხის სრული უუფლებობის მხარე, სადაც ადამიანთა ცხოვრებას, მათს ურთიერთობას აწესრიგებდა შარიათის კანონები და ყურანის დოგმატები, — ასეთი იყო უზბეკეთი 50 წლის წინათ.

მაგრამ მოვიდა ოქტომბერი, და ლენინის პარტიის მიერ ანთებულმა იმედის ცისკარმა ჩვენს მხარეშიც ამოანათა.

მებამბეობა რევოლუციამდელ დროშიც თურქესტანის მხარის მეურნეობის ძირითადი დარგი იყო. მაგრამ ბამბის საერთო მოსავალმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1913 წელს მხოლოდ 521 ათას ტონას მიაღწია.

ვნახოთ, რა გვაქვს ახლა. გასულ წელს რესპუბლიკის მებამბეებმა სამმილიონ 4 მილიონ ტონაზე მეტი „თეთრი ოქრო" ჩააბარეს. უზბეკეთი ჩვენი ქვეყნის მებამბეობის ძირითადი ბაზა გახდა. იგი ხამი ბამბის სრულიად საკავშირო წარმოების 70-მდე პროცენტს იძლევა.

აღმავლობის გზაზეა მარცვლეულის მეურნეობა. მის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ყარაკალფაქეთის მშრომელებს, რომელიც მებრინჯეობის დიდ რაიონად იქცევა, მიმდინარე წელს ყარაკალფაქეთის ბრინჯეულობა ... ტონაზე მეტი ... ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ

ᲛᲝ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲯᲔᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ

Ვ. ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲪᲘᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მეტროპოლიტენის კოლექტივმა, აღფრთოვანებულმა პარტიისა და მთავრობის ზრუნვით ქალაქის სატრანსპორტო სამუშაოებთა გაუჯობესებისთვის, იკისრა ძნელი, მაგრამ საპატიო ვალდებულება — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისთვის საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის მეტროპოლიტენის მეორე უბანი სადგურ რუსთაველის მოედნიდან 300 არაგველთა სადგურამდე.

თბილისის მეტროპოლიტენის დამთავრებული ორი უბანი სწრაფი, მოხერხებული და უსაშიშრო მიწისქვეშა ტრანსპორტით ერთმანეთთან აკავშირებს პირველი წაისის, ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინის და 26 კომისრის რაიონებს.

დაახლოებით 11 კილომეტრი სიგრძის ამ უბანს აქვს ორი მიწისზედა სადგური — დიდუბე და ელექტროდეპო და შვიდი მიწისქვეშა სადგური — ოქტომბრისა, ვაჟაფშაველის მოედანი, მარჯანიშვილის მოედანი, რუსთაველის მოედანი, ლენინის მოედანი, 26 კომისრისა და 300 არაგველთა.

თბილისის მეტროპოლიტენს რომ თავალიერებ, რწმუნდები, თუ ტექნიკური და არქიტექტურული დირსებებით რა შესანიშნავი ნაგებობა მიიღეს თბილისელებმა. სადგურებისა და ვესტიბიულების დაგეგმვა საშინაურად მოსერხებული პირობების უქმნის მგზავრებს, მათი არქიტექტურული გადაწყვეტა კი სიმადვილისა და სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის მეტროპოლიტენების მსგავსად თბილისის მეტროს თითეული სადგური აქვს თავისი არქიტექტურული სახე, თავისი თვისებები, გეგზიდავს მხატვრული და ტექნიკური თავისებურებებით.

თბილისის მეტროპოლიტენის გვირაბების გაყვანისას თბილგვირაბმშენის კოლექტივმა უდიდესი მოცულობის მიწის, ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები შეასრულა. საკმარისია თქვას, რომ მშენებლობის განმავლობაში ამოღებულია 900 ათას კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი და კონსტრუქციებში ჩაწყობილია 300 ათას კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი და რკინაბეტონი.

ასეთი კოლოსალური მოცულობის სამუშაოთა შესრულება წარმოუდგენელია იმი, თუ არ განხორციელდა გრუნტის დამუშავებისა და ბეტონის ჩაწყობის პროცესების შეჭანიზაცია, და თბილგვირაბმშენის კოლექტივმა ამ დარგში დიდი სამუშაო შეასრულა.

გამოყენებულ იქნა გვირაბების გაყვანა სრული პროფილით. ამასთან გამოყენებულია თვითმავალი სამუშაო ერეკი, სამუშაოები დანადგარები სბუ-2, მძლავრი ჭინსატვირთავი მანქანები, ბეტონტუმბოები, ბეტონის პნევმატური ჩამწყობები, გამეკი ფარი, მოწყობილობის სამთო კომბაინი, მიწისქვეშა ელმავლები, მექანიზებული ესკადა და სხვ.

მექანიზებული ფარის 105—ტ-ის ათვისების პერიოდში მშენებლებმა გადაწყვიტეს ბევრი პრობლემა: კლდიანი გრუნტის ჭრის პროცესები, ფარის ტარება, დაწნეხილი მოპირკეთების აგება, ბეტონის შემადგენლობის შერჩევა ადგილობრივი მასალების საფუძველზე, აგრეგატების ნომასტურებისათვის მუდმივი კადრების მომზადება. ფარის ათვისების პროცესში შეიგვრძნდა ცვლილებანი მისი ცალკეული კვანძების კონსტრუქციაში.

105-ტ ფარის ათვისებისას ბევრი ბრიგადა შრომა და ენერგია დახარჯეს სამშართველოს მთავარმა ინჟინერმა ბ. ფაჩულიამ, მთავარმა მექანიკოსმა ე. ლოლუამ, მე-5 საგვირაბო რაზმის უფროსმა ა. ყურაშვილმა, ამ რაზმის მთავარმა ინჟინერმა ი. მაჭავარიანმა, მთავარმა მექანიკოსმა შ. კაკაბაძემ, № 6 უბნის მექანიკოსმა რ. ჭელიძემ და სხვებმა.

გვირაბების შუპირაპირების მაღალი სიზუსტე უზრუნველყვეს სამშართველოს მთავარმა მარკშეიდერმა ვ. მამელიამ, მე-5 საგვირაბო რაზმის მთავარმა მარკშეიდერმა ი. ამბოკაძემ, მარკშეიდერებმა რ. ახვლედიანმა, ვ. მაკავანაძემ, ვ. საფაროვმა, ვ. ხომასურიძემ, მ. სამოდუროვმა და სხვ.

ნინებულად გაართვეს თავი სამუშაოს მექანიზებული ფარის მემანქანეებმა მ. საფრენკომ, ა. ხუნაშვილმა, გ. გაჩეჩილაძემ, ვ. ნარეკლიშვილმა, ს. ბეგაშვილმა, შ. ვარდიშვილმა, მემონტაჟე ზეინკლებმა გ. ნოზაძემ, რ. დოლიძემ, ვ. ურსოვმა, რ. ჯოხაძემ, ა. მელნიკმა და სხვ.

თავდადებულად შრომობდნენ და გვირაბის გაყვანის მაკარ სიჩქარეებსა და სამუშაოთა მაღალ ხარისხს უზრუნველყოფდნენ გვირაბგამყვანთა ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან ფ. კოჩმაზოვი, ი. გიგოლაური, ვ. კეკელიძე და გ. საბეგაშვილი.

სამუშაოთა ზუსტი ორგანიზაციის საკმეს ბევრი შრომა მოახმარეს მე-5 საგვირაბო რაზმის № 6 შუბტის უფროსმა ა. თევდორაძემ, ცვლების უფროსებმა ნ. ფირცხალავამ, გ. ხოშტარიამ, ი. არტაზოვმა და ფ. იურკინმა.

მშენებლებმა დიდი სიძნელეები გადალახეს მიწისქვეშა თერმალურ და აგრესიულ წყლებთან ბრძოლაში.

ცნობილია, რომ საქმის წარმატება ადამიანები წყვეტენ. თბილგვირაბმშენის კოლექტივი, რომელშიც 3.400-ზე მეტი კაცია, მუშაობს ბევრი მაღალკვალიფიციური მშენებელი, თავისი საქმის ოსტატი, რომლებიც მეტროპოლიტენის მშენებლობის პერიოდში აღიზარდნენ. ძლევდნენ ოსაწარმო სიძნელეებს და სწორად აუნარიგებდნენ რა თავიანთ შრომას, მათ მიაღწიეს გამოშუშავების მოქმედი ნორმების ერთსაზეკარჯერ-ორჯერ გადაჭარბებას და ამით უზრუნველყოფდნენ მეტროპოლიტენის ასამუშავებელი უბნის ობიექტების მწყობლობის დასამთავრებლად ცოლკულ რე ორგანიზაციების კოლექტივებთან: საქელექტრომონტაჟის ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველო, ტრესტ „პრომვენტილაციის“ კავკასიის სამონტაჟო სამმართველო, მთავარგვირაბმშენის № 901 სპეციალური სამშენებლო მატარებელი, ტრესტ „სოიუზტელეფონსტროის“ თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის № 126 სამუშაოთა ანგარიშზე მყოფი სამონტაჟო უბანი, № 158 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, ტრესტ ინჟმშენის საუზაო მშენებლობის სამმართველო და სხვ.

თბილისის მეტროპოლიტენის პირველი უბნის მშენებლობაზეც თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელთა კოლექტივის მხარდამხარ შრომობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის მეტრომშენებელთა სახელოვანი კოლექტივების წარმომადგენლები. ისინი სამონტაჟო, სალიანდაგო და მოპირკეთების სამუშაოთა დარგში თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადმოსცემდნენ თბილისის მეტრომშენებლებს.

ეს გამოცდილება თბილისელებს წარმატებით გადმოჰქონდათ. მეორე უბნის ბევრ ობიექტზე აღნიშნული სამუშაოები უკვე დამოუკიდებლად წარმოებდა.

ამჟამად თბილისის მეტრომშენებლები დახმარებას უწევენ ბაქოს მეტრომშენებელთა ძმურ კოლექტივს, სადაც მუდმივი ლიანდაგისა და ბალასტაჟის რელსის დაგებაში თავის გამოცდილებას გადასცემს თბილისელთა დიდი ჯგუფი.

იბრძვის რა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის, თბილგვირაბმშენის კოლექტივმა გადამდე — 20 ოქტომბრისათვის შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წესიერი გეგმა.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით თბილგვირაბმშენის კოლექტივს სამუდამოდ შესანახად გადაეცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სამახსოვრო დროშა, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დროშა, და საქართველოს კპ თბილისის კომიტეტსა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დროშა.

1967 წლის 26-27 სექტემბრის ᲓᲘᲜᲘᲡᲚᲘᲡᲛᲬᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔᲓᲦᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲪᲘᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲜᲘᲡ ᲢᲐᲡᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲐᲠᲗᲕᲔᲚᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: თბილგვირაბმშენის სამმართველოს მოწინავე ადამიანები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი Ა. ᲯᲘᲒᲐᲠᲘᲫᲔ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი Ა. ᲓᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სოციალისტური შრომის გმირები Გ. ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ და Ა. ᲚᲘᲣᲑᲐᲕᲩᲘᲩᲘ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ

ᲜᲣᲒᲔᲨᲘᲓᲘᲡ კინოკულის მუშაკები დროულად შეუდგნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეიმის შეხვედრისთვის მზადებას. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ კინოთეატრებში მაყურებლებმა ნახეს მხატვრული, ქრონიკალური, დოკუმენტური კინოფილმების სერია, რომლებშიც მკაფიოდ ასახულია ჩვენი ქვეყნის წარმატებები, საბჭოთა ხალხის შრომისა და კულტურული დასვენების ამსახველი კადრები. დემონსტრირებულ იქნა სამამულო კინომატოგრაფიის შედევრები. მოეწყო მოკავშირეს სუბპოლიკების კინოფილმების ფესტივალი. ნაჩვენები იქნა დემოკრატიული ᲩᲔᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ კინოსურათები. გაიმართა ახალგაზრდული ფილმების კვირეული.

Გ. ᲮᲣᲮᲣᲚᲐᲕᲐ.

ᲥᲝᲜᲯᲔᲚᲘᲗᲘᲠᲘ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲔᲚᲬᲘᲤᲝᲓ

ᲮᲣᲪᲣᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲬᲐᲮᲔᲚᲘ გაითქვეს მწვანე ჩაის დამზადების უნაკლო ტექნოლოგიით. აქამდე მათი პროდუქცია შუა აზიის რესპუბლიკებში იგზავნებოდა. ამჟამად ᲮᲣᲪᲣᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲮᲔᲚᲘᲗ დიდი როდენობით იგზავნება აფრიკის ქვეყნებში. (ᲡᲐᲐ. ᲞᲝᲠ.).

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ ათენში სსრ კავშირის ნაკრებმა გამართა უკანასკნელი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ევროპის პირველობაზე საბერძნეთის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბუთი მეორე ტაიმში გაიტანა მასპინძელმა. საბჭოთა ნაკრებმა 10 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა მესამე ჯგუფში.

ᲡᲢᲐᲠᲢᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ჩემპიონატის განვლილმა ტურმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ოქროს მედალიელთა რიგებში. „ნეფტიანიკთან“ გამარჯვებამ 2:0 ჩემპიონს— კიევის „დინამოს“ საშუალება მისცა არა მარტო დასწეოდა აქამდე უცვლელ ლიდერს — მოსკოვის „დინამოს“, არამედ ბურთების უკეთესი სხვაობით სატურნირო ცხრილის სათავეშიც მოქცეულიყო. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ კიეველებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ და ბოლო მატჩებს საკუთარ მოედანზე გამართავენ, მაშინ ცხადი გახდება, თუ რამდენად რეალურია კიეველთა განცალკევებული ჩემპიონობის კიდევ ერთი წლით გაგრძელებაზე.

ᲐᲡᲙᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲫᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ

ᲡᲢᲐᲕᲠᲝ�პᲝᲚᲘᲡ გაიმართა მძლეოსანთა ასპარეზობა. სტავროპოლელმა სტუდენტმა 19 წლის რ. ლობჟანიძემ ბაღრი 53 მეტრსა და 44 სანტიმეტრზე ტყორცნა და გაუმჯობესა საკავშირო რეკორდი იუნიორთათვის, რომელიც ათი წლის წინათ **თ. პრესმა** დაამყარა. ვოლგოგრადელმა მძლეოსანმა **ი. ᲐᲛᲘᲜᲐᲕᲘᲩᲛᲐ** კი გაუმჯობესა მსოფლიო მიღწევა ჯოს ტყორცნაში იუნიორთათვის — 68 მეტრი და 68 სანტიმეტრი.

ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲗᲣᲠᲨᲘ შეგვა პროფკავშირულ-კომკავშირული კრისის ფინალი. შეჯიბრება მიეძღვნა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს. გოგონათა შორის 1.000 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო **ს. ᲛᲝᲨᲕᲘᲚᲘᲪᲐ** (მოსკოვის ოლქი), 4 კილომეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის — **Ა. ᲜᲝᲠᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** (ტაშკენტი), 2 კილომეტრზე რბენაში ქალთათვის — **Ა. ᲔᲠᲝᲛᲘᲜᲐ** (მოსკოვის ოლქი), 8 კილომეტრზე რბენაში ვაჟთათვის — **Ლ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲐ** (ფრუნზე).

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲒᲣᲚᲘᲜᲘᲡ კინოკულის მუშაკები დროულად შეუდგნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეიმის შეხვედრისთვის მზადებას. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ კინოთეატრებში მაყურებლებმა ნახეს მხატვრული, ქრონიკალური, დოკუმენტური კინოფილმების სერია, რომლებშიც მკაფიოდ ასახულია ჩვენი ქვეყნის წარმატებები, საბჭოთა ხალხის შრომისა და კულტურული დასვენების ამსახველი კადრები. დემონსტრირებულ იქნა სამამულო კინომატოგრაფიის შედევრები. მოეწყო მოკავშირეს სუბპოლიკების კინოფილმების ფესტივალი. ნაჩვენები იქნა დემოკრატიული ᲩᲔᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ კინოსურათები. გაიმართა ახალგაზრდული ფილმების კვირეული.

Გ. ᲮᲣᲮᲣᲚᲐᲕᲐ.

ᲥᲝᲜᲯᲔᲚᲘᲗᲘᲠᲘ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲔᲚᲬᲘᲤᲝᲓ

ᲮᲣᲪᲣᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲬᲐᲮᲔᲚᲘ გაითქვეს მწვანე ჩაის დამზადების უნაკლო ტექნოლოგიით. აქამდე მათი პროდუქცია შუა აზიის რესპუბლიკებში იგზავნებოდა. ამჟამად ᲮᲣᲪᲣᲜᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲮᲔᲚᲘᲗ დიდი როდენობით იგზავნება აფრიკის ქვეყნებში. (ᲡᲐᲐ. ᲞᲝᲠ.).

ᲚᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲖᲣᲨᲘ ᲡᲘᲛᲯᲘᲠᲝᲕᲔᲑᲐ

ᲝᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ ტუნისის საზონთაშორისო საკალათბურთო ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრებისას **მატანოვიჩმა** დაამარცხა **მატულოვიჩი**. ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი პარტია, რომელსაც მეტოქეებმა ას-ასი სვლა მოანდომეს. საბჭოთა ჭოსმაისტერმა **კორჩნოიმ** წაგო შეხვედრა ბრაზილიის ჩემპიონთან 15 წლის მოკალდრაკე **მეკინგთან**. **სარაევი** დანებდა **ლარსენს**. **რეშევსკისა** და **ფიშერის** პარტია, რომელიც გადადებული იყო მეთერთმეტე ტურიდან დამთავრდა **ფიშერის** გამარჯვებით. ამ დღეს გათამაშდა ადრეული გამოტოვებული პარტიები. **რეშევსკი** და **ბოგასლავსკი** ყაიმზე შეთანხმდნენ. **კორჩნოისა** და **ფიშერის** პარტია გადადიდო, მაგრამ შემდეგ იგი ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ტუნისის საზონთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა გაიარეს დისტანციის ნახევარი. ლიდერთა ჯგუფში არიან — **ფიშერი** (7,5 ქულა 10-დან), **ლარსენი** — 7,5 ქულა 11-დან.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

⊙ **ᲡᲝᲩᲘᲨᲘ** დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ტურნირი „იმედის თასზე“. 16 ქულით პირველი ადგილი დაიკავა **როსტო-ის** გუნდმა. ლატვიის გუნდი მეორე იყო (7 ქულა), საქართველოს გუნდი — მესამე (6 ქულა).

⊙ **ᲡᲐᲠᲙᲝᲨᲘ** ფინეთში ჩატარდა პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატის რიგებში. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ბურეევსტნიკი“-სა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. წარმატება მოსკოველებს ხვდათ 15:3 და პირველი ადგილი დაიკავეს. საქართველოს გუნდი მეორე იყო.

⊙ **ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ** უკანასკნელი მატჩი ბალდადის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა გამართა მოსკოვში სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან და დამარცხდა 1:7.

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

ᲯᲐᲜᲘᲜ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ოქტომბრის პირველ დეკადაში კუანგჩისა და თხიათხიენის პროვინციებში მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 1.200 ჯარისკაცი, მათ შორის 400-მდე ამერიკელი, გაანადგურეს 60-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი, ჩამოაგდეს 3 თვითმფრინავი, ააფეთქეს 8 ხიდი და 150 ყაზარმა.

ᲤᲐᲠᲡᲘ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საიგონში გაიმართა ამერიკის მარიონეტის ნგუენ ვან თხიეუს მიერ სამხრეთ ვიეტნამის „პრეზიდენტის“ პოსტის დაკავების ცერემონია. როგორც რეიტერის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, სამხედრო ქვეგანყოფილებამ და პოლიციამ „ოპერაციებ შემოარტყეს მოედანს ეგრეთ წოდებული „ეროვნული ასამბლეის“ შენობის წინ, სადაც ეს ცერემონია მიმდინარეობდა. ცერემონიის მონაწილე მაღალი თანამდებობის პირთა, რომელთა შორის იყო საიგონში სპეციალურად ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰემფრი, იცავდნენ შეიარაღებული მცველები.

მოგვიანებით გენერალმა თხიეუმ გამოაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამის „პრემიერ-მინისტრის“ პოსტზე ნიშნავს 45 წლის იურისტს ნგუენ ვან ლოკს. კორესპონდენტი ახალ „პრემიერს“ ახასიათებს, როგორც „პოლიტიკურ თანამოაზრეს“ ნგუენ კო კისა, რომელმაც დღეს ოფიციალურად მიიღო „ვიეტ-პრეზიდენტის“ პოსტი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲝᲠᲘ კოსმოსური ხომალდის ავტომატური შეპირაპირება დადო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ხალხის მძლავრი ძალების ძაბვენებელია, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ლუი საიანმა**. მსოფლიოს ხალხები დიდად არიან აღტაცებული. ასეთი გმირობა შეუძლია მხოლოდ ისეთ გოლიათ ხალხს, როგორიც საბჭოთა ხალხია.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 31 ოქტომბერი. (საკდესი). თეთრი სახლის კოსმოსის საკითხთა მთავარმა მრჩეველმა ედვარდ უელშმა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის კოსმოსში ახალი გამარჯვების გამო თქვა: „ეს ბრწყინვალედ მოწმობს ზუსტ სანაიგიაციო და ელექტრონულ კონტროლს ხომალდებისადმი“.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. (საკდესი). ახალი კოსმოსური გმირობა — ასე დაახასიათა ფრანს პრესის საგენტომ ავტომატური სადგურების „კოსმოსი-186“ და „კოსმოსი-188“ ავტომატური შეპირაპირებისა და განშორების წარმატებით განხორციელებული ოპერაცია.

ფრანს პრესის საგენტოს მეცნიერული მიმოხილველის ს. ბერგის აზრით, საბჭოთა კავშირში განხორციელებული ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი შეიძლება გახდეს პირველი ეტაპი ვარსკვლავთშორისი სივრცის შემდგომი კვლევისათვის გათვალისწინებული დიდი ორბიტული სადგურების კოსმოსში შესაქმნელად. ახლა გამოჩნდა შესაძლებლობა კოსმოსში „შეაღგინონ“ ნამდვილი „მატარებელი“ კოსმოსური ხომალდებისაგან, რომლებსაც უნარი შესწევთ შეასრულონ სულ სხვადასხვაგვარი ფუნქცია. წერს მიმოხილველი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ მთავარ ახალ ამბავს — ცნობებს ხელოვნური თანამგზავრების „კოსმოს-186“ და „კოსმოს-188“-ის ორბიტაზე ავტომატური შეპირაპირების შესახებ. „ფასტასტიკური მიღწევა“, — აღნიშნავენ გაზეთები **„დეილი მეილი“** და **„სანი“**. **„მორნინგ სტარი“** წერს, რომ საბჭოთა კავშირმა თანამგზავრების შეპირაპირებითა და განშორებით ორმაგ წარმატებას მიაღწია მორიგ საინტერესო ექსპერიმენტში. გაზეთის აზრით, ეს ახალი მიგნაა კოსმოსის თვისებაში.

ᲕᲔᲜᲔᲠᲐ: — ᲩᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲧᲘᲡᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲛᲐᲮᲐᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲑᲘ!.. ᲜᲐᲮ. Გ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

ᲯᲐᲜᲘᲜ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ოქტომბრის პირველ დეკადაში კუანგჩისა და თხიათხიენის პროვინციებში მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 1.200 ჯარისკაცი, მათ შორის 400-მდე ამერიკელი, გაანადგურეს 60-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი, ჩამოაგდეს 3 თვითმფრინავი, ააფეთქეს 8 ხიდი და 150 ყაზარმა.

ᲤᲐᲠᲡᲘ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საიგონში გაიმართა ამერიკის მარიონეტის ნგუენ ვან თხიეუს მიერ სამხრეთ ვიეტნამის „პრეზიდენტის“ პოსტის დაკავების ცერემონია. როგორც რეიტერის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, სამხედრო ქვეგანყოფილებამ და პოლიციამ „ოპერაციებ შემოარტყეს მოედანს ეგრეთ წოდებული „ეროვნული ასამბლეის“ შენობის წინ, სადაც ეს ცერემონია მიმდინარეობდა. ცერემონიის მონაწილე მაღალი თანამდებობის პირთა, რომელთა შორის იყო საიგონში სპეციალურად ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰემფრი, იცავდნენ შეიარაღებული მცველები.

მოგვიანებით გენერალმა თხიეუმ გამოაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამის „პრემიერ-მინისტრის“ პოსტზე ნიშნავს 45 წლის იურისტს ნგუენ ვან ლოკს. კორესპონდენტი ახალ „პრემიერს“ ახასიათებს, როგორც „პოლიტიკურ თანამოაზრეს“ ნგუენ კო კისა, რომელმაც დღეს ოფიციალურად მიიღო „ვიეტ-პრეზიდენტის“ პოსტი.

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐᲨᲘ

ᲚᲐᲒᲝᲡᲘ. 31 ოქტომბერი. (საკდესი). ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის ჯარებმა, რომლებიც ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის ტერიტორიაზე მოქმედებენ, წარმატებით მოიგერიეს აღმოსავლეთ ნიგერიის არმიის ნაწილების კონტრიერიშები ქალაქების ენუგუს, ბონიხა და ნსუკის მიდამოებში. როგორც აქ გამოაცხადეს, ქალაქ ბონიხის რაიონში ბრძოლების დროს აღმოსავლეთ ნიგერიის არმიის ნაწილები დიდად დაზარალდნენ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲜᲔᲜ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი. (საკდესი). საბერძნეთის სამხედრო მთავრობაში გადადგა ოთხი სამოქალაქო მინისტრი. ესენი არიან იუსტიციის მინისტრი ლეონიდის როზაკისი, შრომის მინისტრი ალექსანდრე ლეკასი, მრეწველობის მინისტრი ნიკოლას ეკონომოპულოსი და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი პანაიოტის ცარუხისი.

როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ოფიციალურ განცხადებაში არაფერია ნათქვამი მინისტრთა გადადგომის მიზეზების შესახებ.

ათენში პოლიტიკური მიმმხილველები აზრს, რომ ეს პირველი ნაბიჯია მთავრობის მომავალ რეორგანიზაციაში. ფიქრობენ, რომ ამ პოსტებს მთავრობაში დაიკავებენ პოლკოვნიკები, რომლებიც ამჟამად გენერალური მდივნების მოვალეობებს ასრულებენ მთელ რიგ სამინისტროებში.

ᲡᲐᲡ